

ჭრელის სისტემა ქართულ სამგალობლო პრაქტიკაში

ტრადიციული მრავალხმიანი მუსიკის მქონე კულტურებში უდიდესი მნიშვნელობა აქვს მუსიკის შენარჩუნებისა და თაობიდან თაობაში გადაცემის საშუალებას. აქ მხოლოდ ორი გზა არსებობს – ზეპირი გადაცემა და წერილი ფიქსაცია.

ტრადიციული მუსიკისათვის ზეპირი გადაცემა ერთადერთი გზაა. ამ შემთხვევაში არც ქართული ხალხური მუსიკაა გამონაკლისი, სადაც ურთულესი პოლიფონიის მქონე სამ და ოთხხმიანი სიმღერების გადაცემა მხოლოდ ზეპირად ხდება. სხვაგვარადაა საქმე ქართულ სასულიერო, ანუ ძველ ქართულ პროფესიულ მუსიკაში. სასულიერო მუსიკის სფეროში არსებობს სამუსიკო ტექსტის ფიქსაციის ტექნიკა, რომელიც ორ ძირითად ტიპამდეა დაყვანილი. პირველი წარმოადგენს ნევმურ ნოტაციას, რომელიც ჰიმნოგრაფიულ ხელნაწერებში X საუკუნიდან მოყოლებული, XX საუკუნის დასაწყისამდე გვხვდება; მეორე კი არის უაღრესად საინტერესო სისტემა, სახელწოდებით „ჭრელი“, სადაც სამგალობლო ტექსტი ვერბალურად (ანუ სიტყვიერად) არის განმარტებული.

ჭრელის სისტემის გავრცელების ზუსტი დათარიღება ძნელდება, პირველად ეს ტერმინი XIII საუკუნის ხელნაწერებში გვხვდება, მაგრამ იქ ვლინდება მხოლოდ ტერმინის მუსიკალური ბუნება. რაც შეეხება თვითონ სისტემას – საგალობლის ჰანგის ვერბალურ განმარტებას – იგი თანმიმდევრულად ჩანს XVII-XIX სს. ხელნაწერებში.

ფიქსაციის აუცილებლობა რომ სწორედ პროფესიული მუსიკის წიაღში წარმოიშვა, სავსებით ბუნებრივია, ვინაიდან საეკლესიო კანონიკა, განსაკუთრებით კი რვა ხმის სისტემა, მოითხოვდა ჰანგის უცდომელ ჩანერას. პროფესიული მუსიკის სფეროში აუცილებელი იყო წერილობითი ძეგლების არსებობა, ვინაიდან სწორედ მათ საფუძველზე წარმოებდა სწავლების პროცესი.

გადაცემის ზეპირი ტრადიცია, წერილობითთან ერთად, უაღრესად ძლიერი იყო სასულიერო მუსიკაშიც, რაც გაცხადებულია თვით ქართული სამუსიკო დამწერლობის პრინციპში. არც ნევმური სისტემა და არც ჭრელები მუსიკალური ტექსტის ფიქსაციის საშუალებას არ იძლევა. ნევმები მხოლოდ შეახსენებენ ჰანგის მცოდნე მგალობელს იმ თავისებურებას, რომელიც კონკრეტულ შემთხვევაში იჩენს თავს. რაც შეეხება ჭრელებს, აქაც, მგალობლის მეხსიერებაში უნდა იყოს დაფიქსირებული ჭრელთა გვარები, ანუ კილო-მოდუსები, რომელთა საფუძველზეც შემდგომ იკინძება საგალობელი.

უაღრესად მნიშვნელოვანია ჭრელებისა და ნევმური დამწერლობის ურთიერთმიმართების საკითხი. ამ საკითხს პირველად ივანე ჯავახიშვილი შეეხო და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ჭრელები დაფიქსირებული ნევმური სისტემის სანაცვლოდ იქნა შექმნილი (ჯავახიშვილი, 1938:249). ეს დებულება ჩვენს მიერ არ იქნა გაზიარებული იმის გამო, რომ ნევმური სისტემა თანმიმდევრულად ფიქსირდება XVIII, XIX და XX საუკუნის დასაწყისის სამგალობლო წიგნებში

(ამ ხელნაწერებს ივანე ჯავახიშვილი, როგორც ჩანს, არ იცნობდა). გარდა ამისა, მოიძებნა წერილობითი ცნობა ექვთიმე (ესტატე) კერესელიძისა, რომელიც ადასტურებს, რომ XIX ს. ბოლოს მას ნიშნების გამოყენებით შეასწავლეს გალობა (კერესელიძე, ფ.1 r-v).

ამრიგად, ჭრელები ნევმურის სანაცვლო სისტემა არაა, თუმცა ურთიერთკავშირი ამ ორ სისტემას შორის უცილობლად არსებობს. სწორედ ამ საკითხს ეძღვნება წინამდებარე მოხსენება.

ვიდრე ჩვენს მოსაზრებას გაგაცნობდეთ, მოკლედ შევეხებით საკითხის შესწავლის ისტორიას. „ჭრელებისა“ და „ჭრელთა გუარების“ შესახებ არაერთი საფუძვლიანი გამოკვლევა არსებობს. მათ შორის: იოანე ბატონიშვილის (ბატონიშვილი, 1991:522), პოლიექტოს კარბელაშვილის (კარბელაშვილი, 1898), ივანე ჯავახიშვილის (ჯავახიშვილი, 1938), ოთარ ჩიჯავაძის (ჩიჯავაძე, 1967), ვაჟა გვახარიას (გვახარია, 1962), მარიამ ოსიტაშვილის (ოსიტაშვილი, 1991), მია ასანიძის (ასანიძე, 1991). დასახელებული შრომები მეტად საინტერესო დაკვირვებებს შეიცავენ, თუმცა ერთიანი აზრი ჭრელის განმარტებაში კვლავაც არ არსებობს. იკვეთება მხოლოდ დამოკიდებულება, რომლის მიხედვითაც მეცნიერები მიიჩნევენ, რომ „ჭრელი“ არაერთგვაროვანი ტერმინია და გულისხმობს ა) კილოს ანუ მოდუსს ბ) ამ კილო-მოდუსებისგან შემდგარ საგალობელს, გ) ნევმატურ ნიშანს. აზრთა სხვადასხვაობა თავს იჩენს „ჭრელთა ნუსხის“ წარმოშობის დროსა და მიზეზთან მიმართებითაც. მკვლევართა ნაწილი მას მიაკუთვნებს გვიან ტრადიციას, დაფიქსირებულს XVIII-XIX სს-ის ძეგლებში, ნაწილი კი (მაგ. გრ. ჩხიკვაძე, 1987) პალეობიზანტიურისა და ძველქართული ნევმური სისტემის თანადროულად მიიჩნევს.

ჩვენი დაინტერესება ჭრელთა ნუსხით განაპირობა ერთმა მნიშვნელოვანმა გარემოებამ. ზემოთ ჩამოთვლილი ავტორები ეყრდნობოდნენ მხოლოდ ორ ნუსხას, დაცულს ხელნაწერებში Q-298 (ცნობილია ფიტარეთის ძლისპირნის სახელწოდებით) და H-2282 (იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან). 90-ან წლებში ხელნაწერთა საცავებში მუშაობისას დავინტერესდით ჭრელის ნუსხებით, რომლებიც სამეცნიერო მიმოქცევაში არ მოხვედრილან. მათგან ორი დაცულია მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში (Q-103, ე.წ. შემოქმედის გულანი; Q-104-ა, ე.წ. გურიანთული, გულანი-ციხის ეკლესიდან; იხ. დანართი); ორი კი ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში ინახება (368, 467).

ზემოაღნიშნული ხელნაწერების შესწავლამ და ურთიერთშედარებამ გააფართოვა ჩვენი წარმოდგენა „ჭრელებზე“, „ჭრელთა ნუსხის“ შედგენილობაზე, ვერბალურად განმარტებული საგალობლების ლიტურგიკულ რაობაზე და „ჭრელთა გუარნის“ იმ რიგზე, რომელიც 24 სახელს აერთიანებს და Q-298-ის ჭრელის ნუსხას ერთვის.

საგულისხმოა, რომ ყველა „ჭრელთა ნუსხა“ შედგენილობით ერთმანეთის მსგავსია. ყოველ მათგანში ნათლად იკვეთება თანმიმდევრულად დაწყობილი მწუხრის, ცისკრის და წირვის უმნიშვნელოვანესი საგალობლები, რომლებსაც ზოგიერთ ხელნაწერში წინ უძღვის, ან უკან მოსდევს სხვადასხვა საეკლესიო და დიდ დღესასწაულთა (შობა, განცხადება, მირქმა, ბზობა, პეტრე-პავლობა)

და აგრეთვე წმიდანთა (წმიდა გიორგის, წმიდა, ნიკოლოზის, იოანე ნათლისმცემლის) კონდაკები, დასდებლები, იბაკონი, გერნი, ეპიზოდი სახარებიდან, ღვთისმშობლის პარაკლისის 3 საგალობელი. მართალია, ნუსხებში ცვალებადია საგალობელთა თანამიმდევრობა, ზოგიერთი ნუსხა მწუხრით იწყება (Q-298, H-2241, ქუთ. 467), ზოგი კონდაკებით (ქუთ. 368), ზოგიც კი მოციქულთა გერით (Q-103, Q-104ა), მაგრამ სხვაობა თანამიმდევრობაში ხელს არ უშლის ნუსხების მსგავსებას, მათ ერთიან სისტემად აღქმას. ცნობილია, რომ გადამწერის მიერ საგალობელთა ან საკითხავთა თანამიმდევრობის შეცვლა იშვიათი მოვლენა არ გახლდათ და ხშირად იყო გამონეული ღვთისმსახურებაში ჩასართავი მასალის უფრო მოსახერხებელი განლაგების სურვილით, მაგრამ საგალობელთა უსისტემო განლაგება ხსენებულ ხელნაწერთაგან არცერთში არ გვხვდება. ამრიგად, ჭრელთა ნუსხაში საგალობელთა დაჯგუფება გარკვეული წესის დაცვით წარმოებდა.

ჭრელთა ნუსხებში საგალობელთა ჰანგის განმარტება ორგვარად ხდება. ზოგ შემთხვევაში ჰანგი „ჭრელთა გუარითა“ განმარტებული (მაგ. „ოინი“, „დასდებლის კილო“, „ყოვლადწმინდის კილო“, „ულხინე“ „უცხო“, „თავი“ და ა.შ.) ზოგჯერ კი მითითებულია, თუ სხვა საგალობლის რომელი ფრაგმენტის მსგავსად უნდა მოხდეს ჰანგის დადება. განმარტებისას არ არის დაზუსტებული, თუ რა განგების საგალობელია მოხმობილი ნიმუშად, ან, თუნდაც, რომელია მისი დასაწყისი ფრაზა. ეს ფაქტი, მართალია, რიგ შემთხვევაში ართულებს საგალობლის რაობის დადგენას, მაგრამ მეტყველებს იმაზე, რომ ასეთი სახის განმარტება მგალობელთათვის სავსებით საკმარისი იყო. ვფიქრობთ, საყურადღებოა, ვერბალური ახსნის ისეთი შემთხვევები, როდესაც საგალობლის ჰანგის განმარტებაში მეორდება თავისივე ტექსტი. მაგ. „დიდება მაღალთა შინა“ განმარტებულია, როგორც „დიდება მაღალთა შინა“ (ფ. 48r), განცხადების დასდებლის „ვითარცა კაცი მდინარედ“ ფრაგმენტი – „ქრისტე მეუფეო“ განმარტებულია „ქრისტე მეუფეო“-თი (ფ. 18v). როგორც ჩანს, მოხსენებული ფრაზების შესაბამისი ჰანგები იმდენად გავრცელებული, ნაცნობი და გათავისებელი იყო მგალობელთა მიერ, რომ დამატებით ახსნა-განმარტებას აღარ საჭიროებდა. სხვა საგალობლებიდან ამონარიდი ფრაზების გამოყენების სიხშირე (ჭრელის ნუსხაში მოცემული საგალობლების ჰანგის განსამარტავად) რიტმულ-ინტონაციური მოდელების მნიშვნელობას სძენს მუხლებს.

ერთი და იგივე მელოდიური მოდელების გამეორებას ადგილი აქვს არა მხოლოდ ერთი ხელნაწერის ფარგლებში – სხვადასხვა საგალობლებში, არამედ სხვადასხვა ხელნაწერებშიც. გამოდის, რომ არსებობდა მზა მოდელების ფონდი, საიდანაც საზრდოობდა ჭრელთა ნუსხაში შემავალი ყველა საგალობელი. საგალობლები კი, რომელთაც მუსიკალური თვალსაზრისით საერთო არ ჰქონდათ მელოდიური მოდელების აღნიშნულ ჯგუფთან, ჭრელთა ნუსხაში არ ერთიანდებოდნენ. შესაძლოა, ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ჭრელთა ნუსხაში თითქმის არ ვხვდებით სადღესასწაულო ტროპრებსა და სძლისპირებს. საგალობო რეპერტუარში ჭრელი საგალობლების სხვა საგალობლებისაგან გამიჯვნა იოანე ბატონიშვილის ცნობილ ციტატაშიც ჩანს, სადაც იგი ლეონტი სოლოლაშვილის გალობაში განსწავლულობაზე საუბრობს: „ლეონტიმ

უნყოდა ვიდრე ხუთასამდის ჭრელი და სხუანი გალობანი“ (ბატონიშვილი, ხელნაწერი H 2134:489). მოტანილ ცნობაში ამჯერად ჩვენთვის საინტერესოა არა ის, რომ ბატონიშვილი ჭრელების ცოდნას განსაკუთრებულ დამსახურებად აღნიშნავს, არამედ ის ფაქტი, რომ იგი აცალკევებს ჭრელებს სხვა საგალობელთაგან. ეს გამიჯვნა სწორედ საგალობლის შემადგენელი მუსიკალური მუხლების განსხვავებით უნდა იყოს გამოწვეული.

დღესდღეობით ჩვენს ხელთ არსებული ძეგლებიდან განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებენ ხელნაწერები Q-103, Q-104, ქუთ. 368, ქუთ. 467, ვინაიდან სწორედ ამ ხელნაწერებში დაფიქსირებულმა ნითელი ფერის განმარტებების სიტყვიერ ტექსტზე განთავსების თავისებურებამ გვიბიძგა ნევემური და ჭრელების სისტემის მსგავსების ძიებისაკენ, რის საბაბსაც Q-298 და H-2241-ის ნუსხები არ იძლეოდა. ზემოხსენებული 4 ხელნაწერში შავი მელნით ჩანერილი საგალობლის ტექსტს ნევემირებული ტექსტების მსგავსად ზემოდან აქვს დანერილი თუ რომელი საგალობლის მიხედვით იგება, ან რომელ მოდელს (ჭრელთა გვარს) ეყრდნობა. აღნიშნული თავისებურება ყველაზე თვალსაჩინოდ იკვეთება ქუთაისურ ნუსხაში (467). ეს ხელნაწერი შინაარსით ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილია ჩვენთვის ნაცნობ ჭრელთა ნუსხებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ იგი თავბოლონაკლებია (რის გამოც არა აქვს სახელწოდება – „ნუსხა ჭრელისა“), იმ სახით, რა სახითაც დღემდე მოაღწია, მაინც მეტად საინტერესო მასალას იძლევა „ჭრელის სისტემის“ შემდგომი კვლევისათვის.

როგორც ცნობილია, ქრისტიანული საგალობლის ტექსტი ნანევრდება ფრაზებად. ფრაზები კი ერთმანეთისაგან სასვენით გამოიყოფა. ასეთი მეტრული დანაწევრება საწინდარი იყო სიტყვიერი და მუსიკალური ტექსტის, პოეტური და მუსიკალური მუხლების სწორი შეწყობისა. გულანების და ქუთაისური ხელნაწერების შესწავლისას აშკარად ჩანს, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა გადამწერი მეტრულ პუნქტუაციას. ტექსტის ფრაზები ერთმანეთისგან სასვენით გამოიყოფა, დასასრულის აღმნიშვნელი კი არის სამწერტილი. განკვეთის ნიშნებით გამოყოფილ მუხლებზე მოთავსებული მინიმუმბა-ახსნა, რაოდენ ვრცელიც არ უნდა იყოს, ყველგან განსამარტავი ტექსტის საზღვრებში თავსდება. ამიტომ ხშირად მოკლემარცვლიან ფრაზას „თავზე ადგას“ სამი, ან ოთხსტრიქონიანი განმარტება. ასე, რომ წყაროებში არაერთხელ აღნიშნული მუსიკალური ნიშნების (ნევემების) განთავსების დროს მიღებული „უცთომელობა“ „ჭრელების“ ნუსხაშიც სახეზეა. საგულისხმოა, რომ ჰანგის სიტყვიერი განმარტების ტექნიკა სხვა მხრივაც ეხმიანება ქართულ ნევემურ ნოტაციას. ხელნაწერებში ერთი, ან ორი სიტყვისაგან შემდგარ მუხლს ხშირად რამდენიმე ფრაზისგან შემდგარი კომბინირებული განმარტება აქვს, რიგ შემთხვევაში კი, პირიქით, ვრცელი ტექსტის ჰანგი ერთი სიტყვითაა განმარტებული. ეს მოვლენა სიტყვიერ ტექსტზე საგალობო ნიშნების განთავსების თავისებურებებს მოგვაგონებს, სადაც ზოგან რამდენიმე სიტყვის მანიძლზე ერთი, ან ორი ნიშანია დასმული, ხოლო ცალკეული სიტყვები ნიშნებითაა აჭრელებული. ყოველივე აღნიშნული სხვადასხვა სამუსიკო სისტემების პრინციპების ერთიანობაზე მეტყველებს.

თვალსაჩინოებისათვის მოვიტანთ რამდენიმე ნიმუშს ხელნაწერიდან ქუთ. 368. მაგალითი: დასდებლის – „იხარებდინ ცანი და იშვებდინ ქვეყანაი“-ს ფრაგმენტი „ბაგა დაინვინების და მწყემსნი ქადაგად საიდუმლოს, მის იქმნე-ბიან“, განმარტებულია ერთი სიტყვით – „ოინი“ (9v), ხოლო დასდებლის „მო-ველნით ქრისტეს შემოსილნი“-ს ნაწყვეტი – „შეაძრუნებს და განაცვიფრებს“ – განმარტებულია კომბინირებული ჰანგით – „და ვითარცა კრავი თავი ქრის-ტე აღდეგი დიდი წინთქმიანთ ბოლო ოინზე გათავდება (15 v), ან კიდევ, „დღეს ბეთლემს მოვალს მუცლადღებული ქალწული შობად მოვალს“ – „განუხრნე-ლადითაა“ განმარტებული (იქვე), ხოლო „წინა უძღვიანს“ ხსნის შემდეგი სიტყვათშეთანხმება: „უსჯულოთა მათ თანა მღდე თავი ქრისტე აღდეგი დიდი წინთქმიანად ღმერთი უფალის საბრუნავი.“ (15 v).

ჰანგის აღმნიშვნელ მუსიკალურ ნიშნებთან ჭრელების დაკავშირების სა-შუალებას უფრო ადრინდელი, XIII ს-ის ხელნაწერიც იძლევა. ეს არის ხელ-ნაწერთა ინსტიტუტის A ფონდის 85 ხელნაწერი, რომელშიც ჭრელი შემდეგ კონტექსტშია მოცემული: „ძუელის ზედა ახალი საგალობლები მოვჰკაზმე. სრუ-ლითა ქორონიკონითა დამინერია, გარიგებითა, ახალი თქმულითა იამბიკონი-თა და რაიმცამე მომატებულეზანი მუნ დამინერია... და ოხითანი მარხვათა და ზატიკთანი ... იბაკოებითურთ და თუ რომელიმეს ჭრელი მუხლი ზატიკსა ში-ნა...“ (ფ. 238v), ან ამგვარი შენიშვნა: „ჭრელნი მუხლნი სამთავე ... გერთა და სტიქარონთა ზედა“ (ფ. 387r). როგორც ვხედავთ, აქ ჭრელი მუხლთანაა შენ-ყვილებული, მუხლი კი ჰანგის, კილოს მნიშვნელობას ატარებს. მოტანილ ციტატაში არანაკლებ საყურადღებოა სიტყვა „მოვჰკაზმე.“ „მოკაზმვა“ ჰან-გით შემკობას, ანუ ნიშნებით აღბეჭდვას ნიშნავს. ამრიგად, XIII ს-ის ხელნაწერ-ში ტერმინი „ჭრელი“ საგალობლის ტექსტზე ჰანგის დადებას უნდა ნიშნავდეს, „ჭრელნი მუხლნი“ კი, ვფიქრობთ, ნიშნებით აღბეჭდილ მუხლებს.

ჭრელების ახალი ნუსხები ამდინდებენ ჩვენს წარმოდგენას არამარტო ჭრელი-მოდელების სტრუქტურულ ფუნქციებზე, არამედ მუსიკალურ ტერმი-ნოლოგიაზეც. მაგალითად, ქუთაისური ხელნაწერის (368) ანალიზის საფუძ-ველზე დადგინდა, რომ „დასდებლის კილოს“ ფუნქცია საგალობლის მუხლში დაბოლოება, დასკვნა უნდა ყოფილიყო. რაც შეეხება ჭრელთა სახელების რა-ობის გარკვევას, იგი სირთულეებს უკავშირდება. ამის შესახებ ჯერ კიდევ ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა თავის ნაშრომში „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები“, მაგრამ მკვლევარმა ტერმინთა დიდი ნაწილის ფუნ-ქციები მაინც განმარტა. ხოლო სახელების „ბოხუნის“, „უსტაურის“, „შეყრი-ლის“, „საჭექენის“, „ჩაჟანგულის“, „უცხოს“, „ნოინისა“ და „ოინის“ მნიშვნელო-ბის გამოსარკვევად, როგორც თავად აღნიშნავდა, საკმარისი მასალა არ გააჩ-ნდა (ჯავახიშვილი, 1938:250). ბოლო დროს მიკვლეული ხელნაწერების შედა-რებითმა ანალიზმა საშუალება მოგვცა დაგვედგინა მნიშვნელობა Q-298-ის 166-ე ფურცელზე მოცემული ზოგიერთი სახელისა ესენია – „საჭექენი“, „უც-ხო“, „შეყრილი“ და „მრავალგვარი“. ნუსხაში მესამე სახელია – „საჭექენი.“ ხელნაწერში ტერმინის ასეთი ფორმით არსებობა არასწორ ასოციაციებს ქმნის „ჭექასთან“, „დაჭექასთან“. ვფიქრობთ, სწორი ფორმა „საჭიქენი“ უნდა იყოს. ტერმინი ამ ფორმით გვხვდება სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში. საბას

განმარტების თანახმად „საჭიქენი“ სახელწოდებაა ნადიმის დროს სათქმელი დასდებლებისა. „საჭიქე“ – ჭიქის სამზადისი, გინა ჭიქის ადგილი, გინა ჭიქით სმაზე დასდებლის თქმა“ (ორბელიანი, 1993:73). ჭიქით სმაზე სათქმელი დასდებლები, ანუ „საჭიქენი“, როგორც ჭრელი საგალობლები, შეტანილია ქუთაისურ ხელნაწერშიც ქ. 368 (ფ. 75 v). მაგალითად, დასდებელს „სამწყსო შენი იხსენ გამრყუნე“ – წინ უძღვის შემდეგი განმარტება – „დასდებელნი საჭიქენი“. ამრიგად „საჭიქენი“ ერქვა ნადიმის დროს სათქმელ საგალობლებს. ამგვარი საგალობლების XVIII ს-ში არსებობაზე ცნობას რაჟდენ ხუნდაძე გვანვდის: „ერთაშორის ... ქორნილი და ნადიმი ნახევარ ლოცვას წარმოადგენდა. თან სმაჭამა და მხიარულება იყო და თან ღვთის სადიდებელი სძლისპირების ღალადი. ... ლხინის წესრიგი ასეთი იყო: მეფე-დედოფლის სადღეგრძელოს გათავების შემდეგ მაყრულს იტყოდნენ „მეფეო“. მერმე „უკუნისამდე“, ქორნილი წმიდა“, „მოსლვისა შენისა“, „გვირგვინი მკლავმა ძლიერმა დაგადგა“, „განელო სასძლო“, „განემზადა ქორნილი“ და სხვა და სხვა... ეს გალობები ჭრელებია, გრძელი და სასიამოვნო საყურებელი თავისი კილო მიმოხვრით“ (ხუნდაძე, 1912:1-2).

„საჭექენი“ არ არის ერთადერთი იმ ტერმინებს შორის, რომლებიც არ აღნიშნავენ ინტონაციურ მოდელს, არამედ განსაზღვრავენ საგალობლის ფუნქციას ან მის თავისებურებას. მათ რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ „შეყრილი“, „უცხო“, „მრავალგვარი“. „შეყრილი და „მრავალგვარი“ კონკრეტულ ჰანგზე კი არ მიუთითებენ, არამედ შეწყვილებული ფორმით გამოყენებისას ადასტურებენ საგალობლის მუხლში რამდენიმე განსხვავებული ბრუნვის თავმოყრას. მოსაზრებას საფუძველს უქმნის ხელნაწერ ქუთ. 467-ის ზოგიერთი საგალობლის განმარტება. მაგ.: „აუარებდით უფალსა“ განმარტებულია – „შეყრილი არს მრავალი გუამი“. საინტერესოა იგივე, საგალობლის განმარტებები Q-298-ში – „უცხო და ძნელი“. ეს უკანასკნელი ფრაზის „შეყრილი არს მრავალი გუამი“-ს მნიშვნელობას ავსებს და იმავდროულად მოვლენის სხვა მხარეს ასახავს. თუ შევაჯერებთ ერთი და იგივე საგალობლის ჰანგის განმარტებებს ჭრელთა ნუსხის სხვადასხვა წყაროებში, შემდეგ აზრს ამოვიკითხავთ: რადგან „აუარებდით უფალსა“-ს ჰანგში რამდენიმე უცხო კილო იყრიდა თავს, მისი შესრულება რთული იყო. ვარაუდი ტერმინების „უცხო და ძნელი“ და „შეყრილი და მრავალგვარი“-ს ურთიერთთავსებადობაზე დასტურდება ქუთაისური ხელნაწერის ისეთი მინიშნებებით, სადაც ზემოაღნიშნული 2 მსგავსი განმარტება ერთობლიობაშია მოცემული: „ესე ბევრ გვარია, უცხო ამოსათქმელია“. „ბევრგუარი არის, უცხო“ (467, ფ. 40 v).

ჭრელთა ნუსხაში კილოს ჰანგის აღმნიშვნელი ტერმინების გვერდით მოიპოვება კილოს რაგვარობის, მისი სტრუქტურის განსამარტავი სახელწოდებებიც. ნუსხის შემდგენელმა ჭრელთა გვარებში თავი მოუყარა არა მარტო კილო-მოდულების სახელებს, არამედ ჭრელებთან დაკავშირებულ მისთვის ნაცნობ ზოგად ტერმინებსაც.

დასასრულს, გვინდა გამოვთქვათ რამდენიმე მოსაზრება ჭრელთა ნუსხის შექმნისა და გამოყენების თავისებურებებზე, აგრეთვე ნევმური და ვერბალური განმარტების სისტემის ურთიერთმიმართების საკითხებზე.

ჭრელთა ნუსხების სიუხვე, სხვადასხვა ტრადიციის (შემოქმედი, ფიტარეთი, გელათი) და ეპოქის (XVII-XIX სს.) ხელნაწერების მსგავსი შედგენილობა, ვერბალური განმარტებების შემცველ ნუსხებში მწყობრ სისტემურობას ავლენს და სამგალობლო პრაქტიკაში ჭრელების აქტიურ ჩართვაზე მეტყველებს. ნუსხების რეალური გამოყენების მანიშნებელია მათი განთავსება საგალობლო წიგნებში და განსაკუთრებით ისეთი ტიპის კრებულში, როგორც გულანია. ჭრელის ნუსხის ერთ-ერთი არსებითი ფუნქცია მისი სასწავლო დანიშნულება უნდა იყოს.

ვერბალური განმარტების სისტემა მეტად მოსახერხებელი ჩანს და სავარაუდოა, მონოდებული იყო გაეიოლებინა სწავლისა და დამახსოვრების პროცესი მოსწავლე-მგალობლებისათვის. ახალი საგალობლის შესწავლა უკვე კარგად ნაცნობი ჰანგის სიტყვიერი მითითებით, გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე ნევების მნიშვნელობებისა და მათი კომბინაციების დაუფლების გზა. ამავდროულად, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, ნიშნებით აღბეჭდილი კრებულები განკუთვნილი იყო განსწავლული მგალობლებისათვის, ანუ მასწავლებლებისათვის, ე.ი. იმ პირთათვის, ვისაც ხელენიფებოდა საგალობლის სისწორით გალობა ამ ნიშნების საფუძველზე. რაც შეეხება ჭრელების სისტემას, ჰანგის განმარტების პრინციპიდან გამომდინარე იგი მოწაფეთათვისაც თავისუფლად მისაწვდომი იქნებოდა.

დაბოლოს, „ჭრელი“ – ეს არის დამოუკიდებელი სისტემა, სადაც საგალობელი აკინძულია მგალობელთათვის ცნობილი ინტონაციური ბლოკების – მოდუსების ვარიანტებისაგან. ეს არის განსაკუთრებული სახე მუსიკალური აზროვნებისა, სადაც უკვე მზა მელოდიურ-ჰარმონიული სტრუქტურების შეკავშირებით იქმნება საგალობლის მუსიკალური ტექსტი. ასეთი სისტემის შექმნა სრულიად ლოგიკურად გამოიყურება ზეპირი გადაცემის ტრადიციის ფონზე. ჭრელის სისტემა ნევური დამწერლობის პარალელურად არსებობს და მის ძირითად პრინციპს იზიარებს.

„ჭრელი“-ს საკითხზე სამომავლო მუშაობა შემდეგნაირად გვესახება:

ყველა არსებული ხელნაწერის საფუძველზე უნდა შეიქმნას ჭრელით განმარტებული საგალობლების სრული ნუსხა და განისაზღვროს თითოეულის ლიტურგიკული ფუნქცია.

ვერბალური განმარტებისათვის გამოყენებული საგალობლების ფრაგმენტების ანალიზის საფუძველზე დადგინდეს მათი პირველწყარო ანუ ძირითადი საგალობელი, რომელიც კილოს უჩვენებს სხვა საგალობლებს.

დაბოლოს, სასურველია ჩატარდეს შედარებითი ანალიზი ვერბალურად განმარტებული ჭრელი საგალობლების, მათი ადექვატური ნევმირებული საგალობლებისა და ნოტებით ჩანერილი საგალობლებისა არა რამდენიმე მაგალითის შედარების სახით, როგორც ეს აქამდე ხდებოდა, არამედ სარწმუნო შედეგისათვის აუცილებელი ნიმუშების სიმრავლის საფუძველზე, რაც სწორი დასკვნების გამოტანის ერთადერთი საშუალებაა.

დამონმებული ლიტერატურა

ასანიძე, მია. (1991). „ჭრელის“ და „კილოს“ საკითხისათვის ძველ ქართულ პროფესიულ მუსიკაში. კრებულში: რუსუდან წურნუშია (პ/მ რედ.). ძველი ქართული პროფესიული მუსიკა. ისტორიისა და თეორიის საკითხები. სამეცნიერო შრომები (გვ. 112-121). თბილისი: თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია (ინგლისური რეზიუმეით)

ბატონიშვილი, იოანე. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი. ხელნაწერი H 2134.

ბატონიშვილი, იოანე. (1991). ხუმარსწავლა. ტომი 2. თბილისი: მერანი.

გვახარია, ვაჟა. (1962). ქართულ მუსიკალურ სისტემათა განვითარება. თბილისი: ხელოვნება.

კარბელაშვილი, პოლიევქტოსი. (1898). ქართული საერო და სასულიერო კილოები. ისტორიული მიმოხილვა. ტფილისი.

კერესელიძე, ექვთიმე. (1882). საგალობელთა კრებული. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი. ხელნაწერი Q 830.

ორბელიანი, სულხან-საბა. (1993). ლექსიკონი ქართული. ტომი 2. თბილისი: მერანი.

ოსიტაშვილი, მარიამ. (1991). ჭრელების შესწავლის ზოგიერთი საკითხი. კრებულში: რუსუდან წურნუშია (პ/მ რედ.). ძველი ქართული პროფესიული მუსიკა. ისტორიისა და თეორიის საკითხები. სამეცნიერო შრომები. (გვ. 93-111). თბილისი: თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია. (ინგლისური რეზიუმეით).


ჩიჯავაძე, ოთარ. (1967). ქართული გალობის ჭრელები. საბჭოთა ხელოვნება, 12 (გვ. 75-79).

ჩხიკვაძე, გრიგოლ. (1987). ირაკლი აბაშიძე (მ/რედ). ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტომი 11. გვ. 406. თბილისი: მთავარი სამეცნიერო რედაქცია.

ხუნდაძე, რაჟდენ. (1912). ქართული გალობა. ლიტურგია: იოანე ოროპირისა, ვასილ დიდსა და გრიგოლ ღვთისმეტყველისა. პარტიტურა. ნოტებზე გადაღებული მღვდლის რაჟდენ ხუნდაძის მიერ. გურულ-იმერულ სადა კილოზე. ტფილისი: გამოცემა ე. ს. კერესელიძისა.

ჯავახიშვილი, ივანე. (1938). ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები. თბილისი: ფედერაცია.

ფრაგმენტი ქრელთა ნუსხიდან. ხელნაწერი G-104ა.
Pragment of "Chrelta Nuskh". Manuscript G-104a.



ფრაგმენტი ქრეთთა ნუსხიდან. ხელნაწერი G-104ა.
Pragmat of "ChreltaNuskha". Manuscript G-104a.

